ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6235622

ნომერი: AR1930446

თარიღი : 08.11.2022

გაცემის თარიღი : 05.12.2022

გაცნობის თარიღი : 05.12.2022

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ომარ ფხაკაძის ქუჩა, N 55;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მერაბ კაკულია პ/ნ 41001002563
- თბილისი ს.ცინცაძის ქ. N 41 ბ. 5

ნომენკლატურა :

- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- III კლასი
- ახალი მშენებლობა
- პროექტის შეთანხმება

.მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების (გაპი) რეკვიზიტები.:

- .დადგენილი გაპის ბრძანების ნომერი.: 3878543
- .დადგენილი გაპის ბრძანების თარიღი.: 22.03.2018

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: გურამ პატარქალიშვილი
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შ.პ.ს. "ვინჩი დეველოპმენტი"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 405115450

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შ.პ.ს. "ვინჩი დეველოპმენტი"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 405115450
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: მერაბ კაკულია
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 41001002563

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 1790.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 467.7
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 2789.2
- .საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).: 1617.3
- .კომერციული ფართობი (კვ.მ).: 733.0
- .საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 240.9
- .კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 198.0
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 6240.0
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 5160.0
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 1080.0
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 20.25
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 13.5
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 6.75
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 467.7 (0.3)
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 2087.6 (1.2)
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 454.5 (0.3)

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

01. წარმოდგენილ მიწის ნაკვეთზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 3, აღნიშნულ ზონაში დასაშვებია 15მ.სიმაღლის შენობა-ნაგებობის განთავსება, წარმოდგენილი პროექტით სიმაღლე ირღვევა ჩრდილოეთის მხრიდან. აღნიშნული ხარვეზიდან გამომდინარე გიხარვეზდებათ ყველა საჭირო ველი.

02. საპროექტო ტერიტორიის გენერალური გეგმა, მასშტაბი 1:500. -> .გენერალური გეგმის pdf ფაილი.:

- გენ– გეგმაზე დაიტანეთ სახურავის გეგმა - ნალექების გადაყვანის სქემის და საპროექტო ნიშნულების ჩვენებით / მისაწვდომი სვლაგეზი, შენობამდე გაბარიტული ზომების, დახრის % და ნიშნულების დატანით.

- საქართველოს მთავრობის 2022 წლის 26 ოქტომბრის №508 დადგენილებით ცვლილება შევიდა საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებით დამტკიცებულ შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებში. საჭიროა ზემოაღნიშნული დადგენილების 915-ე ქვეთავის მოთხოვნების შესაბამისად წარმოდგენილ იქნას

საპროექტო შენობის ნაკვეთზე განთავსების სქემა, სახანძრო და საავარიო-სამაშველო ტექნიკის გადაადგილებისათვის განკუთვნილი და შენობა-ნაგებობასთან მისასვლელი გზ(ებ)ის ჩვენებით, შესაბამისი გაბარიტული ზომების, მოხვევის რადიუსებისა და შენობის მიბმის მანძილების ჩვენებით.
03. შენობა-ნაგებობის ყველა სართულისა და სახურავის გეგმები, მასშტაბი 1:100. -> .გეგმების pdf ფაილი.-> .ფასადების pdf ფაილი.: გათვალსიიწნებულ იქნას #01 ხარვეზი.

04. შენობა-ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლის განსაზღვრის სქემა. -> .სიმაღლის განმსაზღვრელი სქემის pdf ფაილი.: სრულად დაიტანეთ ნიშნულები და გაითვალისწინეთ დადგენილი მაქსიმალური სიმაღლე 15 მ.

05. საჭიროების შემთხვევაში მიწის ნაკვეთის გამწვანების პროექტი -> გამწვანების პროექტის pdf ფაილი: თქვენი განცხადება გადაგზავნილია გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურში (წერილი N: 60-01223362511) პოზიციის დასაფიქსირებლად, აღნიშნული პოზიციის მიღებამდე სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება. ზემოაღნიშნული უწყებიდან პასუხის მიღებისთანავე ეს პასუხი გეცნობებათ შეტყობინების სახით.
06. წარმოადგინეთ მომიჯნავე შენობა-ნაგებობაზე ზეგავლენის კვლევის ანგარიში, რომელიც მოიცავს:
ა) მომიჯნავე შენობა-ნაგებობების არსებული მდგომარეობის ფიქსაციას და მათზე დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოების შესაძლო ზემოქმედების ხარისხს;
ბ) საჭიროების შემთხვევაში სპეციალურ ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფს მომიჯნავე შენობა-ნაგებობების არსებული მდგომარეობის შენარჩუნებას, რაც ასევე აისახება მშენებლობის ორგანიზების პროექტში. დასკვნა უნდა იყოს პასუხისმგებელი პირის მიერ ხელისმოწერით დადასტურებული და შეავსეთ ექსპერტის მონაცემები;

იმ შემთხვევაში თუ დასკვნაში მოთხოვნილი იქნება რაიმე სახის გამაგრებითი სამუშაოების ჩატარება მშენებლობის პროცესში დამატებით წარმოდგენილ იქნას გამაგრების პროექტი და კალენდარულ გრაფიკში ეტაპის სახით ასახული გამაგრებითი სამუშაოები; გაითვალისწინეთ იმ შემთხვევაში თუ გამაგრება შეეხება მომიჯნავე შენობებს საჭიროა დამატებით ატვირთულ იქნას მათი მესაკუთრეების ნოტარიული წესით დამოწმებული თანხმობა ჩასატარებელ სამუშაოებზე.

07. წარმოადგინეთ თელასის მიერ დამოწმებული გენ.გეგმა.

არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს. გაითვალისწინეთ, რომ თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენთ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.